

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილების შემუშავება განპირობებულია ქალაქ ოზურგეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების არარსებობით, რაც იწვევს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო რესურსის სამართლებრივი დაცვის ნორმების უკმარისობას და სარეკრეაციო რესურსისა და საჯარო სივრცეების შემცირებას.

ა.ბ) დადგენილების მიზანი

დადგენილება მიზნად ისახავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო რესურსის, პარკების, ბაღების, სკვერების და სხვა გამწვანებული ტერიტორიების დაცვას დროებითი სამართლებრივი რეჟიმით ქალაქ ოზურგეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცებამდე.

ა.გ) დადგენილების ძირითადი არსი:

დადგენილება განსაზღვრავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საზოგადოებრივი სივრცეებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების ცნებებს და მათში განაშენიანების რეგულირების დროებით წესებს

ბ) დადგენილების ფინანსური დასაბუთება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას. დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. დადგენილების მიღება არ ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას. დადგენილება არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების მოქმედება. დადგენილება არ ითვალისწინებს მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) დადგენილების მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

დადგენილების მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

დ) დადგენილების ინიციატორი

დადგენილების ინიციატორია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ჯგუფი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პეტიციის წესით